სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი „ახალგაზრდული ბანაკების“ მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და წესი

მუხლი 1. მონაწილეთა შერჩევა

ა) სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) “ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის” პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში (შემდგომ - ბანაკი) მონაწილეობა შეუძლიათ 14-18 წლის ახალგაზრდებს, საქართველოს ყველა რეგიონიდან და მათი შერჩევა ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან/სახელმწიფო რწმუნებულებთან კოორდინირებით.

ბ) საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებული სახელმწიფო უწყებები/სახელმწიფო რწმუნებულები, მათთვის განსაზღვრული რაოდენობების ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბანაკის მონაწილეთა შერჩევას და სააგენტოსათვის სიის/დოკუმენტების მიწოდებას, ამ წესის მეორე მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 2. მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები და სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განკარგულებით განსაზღვრული უწყებებისთვის

განკარგულებით განსაზღვრული უწყებები, მათთვის გათვალისწინებული რაოდენობების ფარგლებში, უზრუნველყოფენ:

1) მონაწილეთა შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- ასაკი: 14-დან 18 წლის ჩათვლით (სქესთა ბალანსის დაცვით);
- უპირატესობა მიენიჭებათ სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, იძულებით გადაადგილებული ოჯახის წევრ, ობოლ ან/და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს;

2) სააგენტოსთვის ბანაკის მონაწილეთა ძირითადი და სარეზერვო სიების წარმოდგენას დანართი N1-ის შესაბამისად, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ - დანართი N2-ის შესაბამისად;

3) სააგენტოსთვის ბანაკის მონაწილეთა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენას:

ა) მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან დაბადების მოწმობის ასლი; დაბადების მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში, მონაწილის 1 ფოტოსურათი;

ბ) მონაწილის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა, დანართი N3-ის შესაბამისად;

გ) მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა №IV-100ა;

დ) ცნობა სპეციალური სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4) საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ამ წესის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს მონაწილეთა სამოგზაურო დაზღვევა;